პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 7 იანვარი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 3 (691) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა — სავლე ელს. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ნერვიულ სოსკალის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## განცხადება.

ოთხშაბათს საღამოს 5 საათზედ 1-ლ ქართულ მსროლელთა დივიზიის პოლიტ-განყოფილების შენობაში დანიშნულია ტფილისის გარნიზონის ასეულების, ათასეულების და ლეგიონების კომკავშირთა შორის მომუშავე ორგანიზატორების გაფართოვებული თათბირი—წითელ ჯარში მყოფ ძველ კომკავშირთა მომუშავეების და აქტივის თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

მოხსენება ამხ. პატარაიას 1-ლ ქ. მ. დივიზიის მე-4 პარტ-კონფერენციის შედეგების შესახებ, კომკავშირის მორიგ ამოცანებზე წითელ ჯარში.

2. მიმდინარე საკითხები.

პოლიტ განყოფილება.

## ვემზადოთ 21 იანვრისათვის.

21 იანვარს სრულდება ერთი წელი, რაც გარდაიცვალა პროლეტარიატის ბელადი ამხ. ლენინი.

ამ დღეს ჩვენ ღირსეულად უნდა შევხვდეთ და სათანადოთ უნდა ავღნიშნოთ ის. მთელი ქვეყნის მშრომელებთან და დაჩაგრულებთან ერთად ამ დღეს ჩვენი წითელი ჯარიც გაიმეორებს თავის მტკიცე ფიცს, რომ ის ერთგული დარჩება ლენინის ანდერძებისა და ერთხელაც არ გადაუხვევს ბელადის მიერ ნაჩვენებ გზას. როგორ უნდა ავღნიშნოთ ეს წლის თავი?

ამაზედ გარკვეულ და ნათელ პასუხს იძლევა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ცირკულიარი, სადაც ჩამოთვლილია ყველა ის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ჩატარებული უნდა იქმნას არა მარტო საზოქალაქო, მუშათა ორგანიზაციებში-არამედ წითელი ჯარის თითეულ ნაწილშიაც.

ამიტომაც ჩვენი ქართული წითელი ჯარის ნაწილები ამ თავითვე უნდა შეუდგენ ამ წლის თავისთვის მზადებას. საჭიროა როგორც ცირკულიარი აღნიშნავს „ფართედ დაყენება აგიტპროპაგანდისტული მუშაობის, როგორც პარტიის შიგნით, ისე მის გარეშე, უპარტიოთა შორის“.

ამ დღეს ჩვენ ფართედ უნდა გავავრცელოთ ლენინის სახელი და გავაშუქოთ მასებში მისი ცხოვრების და მოღვაწეობის მთავარი საფეხურები.

თითეულმა წითელ არმიელმა კარგად უნდა იცოდეს ვინ არის ლენინი, რა არის ლენინიზმი და სხვა. ამასთანავე ერთად საჭიროა ფართედ გაშუქება იმ ამოცანების და საკითხების, რომლებიც სდგას დღეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. აქეთკენაა სოფლად მუშაობა, წარმოების ნაყოფიერების ამაღლება, მუშათა მასების მეტი შემჭიდროება პარტიის გარშემო, სასტიკი ბრძოლა პარტიის შიგნით ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრების წინააღმდეგ და სხვა.

ერთი სიტყვით ამ წლის თავის აღნიშვნაში აქტიურად ჩაბმული უნდა იქმნას მთელი წითელ არმიელთა მასა და მეთაურთა შემადგენლობა.

წითელმა არმიამ ღირსეულად უნდა სცეს პატივი საყვარელი ბელადის ხსოვნას და უფრო მაღლად უნდა ასწიოს ლენინის წითელი დროშა, როგორც მშრომელთა კლასობრიობის განთავისუფლების და ბედნიერების სიმბოლო.

## რუს მონარქისტების ახალი გეგმა.

გერმანული გაზეთი „მიუნხენერ ნეისტე ნახრისტენ“—ი იუწყება რომ რუს ემიგრანტებს, რომლებიც შეკრებილი არიან დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და სიზონოვის გარშემო, დაუმადათ ახალი გეგმა საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებისა შეიარაღებული ბრძოლის საშუალებით. გაზეთის სიტყვით ამ გეგმას მხარს უჭერს საფრანგეთის ნაციონალისტები მილიერანის მეთაურობით.

ამ გეგმაში გათვალისწინებულია გენერალ იუდენიჩის ხელი ექსპედიცია და ვრანგელის არმიის დაგროვება ბალკანეთში. ექსპედიციაში უნდა მიიღონ მონაწილეობა აგრეთვე პოლონეთმა, ჩეხო-სლოვაკიამ, ბალკანეთის სახელმწიფოებმა და საფრანგეთმა.

გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე გერმანიის როლი. გერმანიის ტერიტორია-ბავარია ნაგულისხმევია როგორც შესაკრები ადგილი.

გაზეთი აფრთხილებს გერმანიის პოლიტიკურ წრეებს ჩარევაზე ამ ავანტიურის ქსელში.

მემარცხენე გაზეთი „მონტან მორგენ“-ი შენიშნავს, რომ ეს ცნობა განგებ არის შეთხზული ყოფილ თავადის კირილე ვლადიმირის ძის სასარგებლოდ, რომელსაც სურს დაამცირონ თავისი კონკურენტის-ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ავტორიტეტი.

## გერმანიის მთავრობას გადაეცა ნოტა კელნი სზონის საკითხის შესახებ.

5 იანვარს გერმანიის მთავრობამ ჩაიბარა ელჩთა კონფერენციის ნოტა კელნის ზონის ოკუპაციის გაგრძელების შესახებ.

ნოტის ტექსტი (შინაარსი) გამოქვეყნებულ იქნება ამ დღეებში.

## წყალდიდობა გერმანიაში.

ძლიერი წვიმების გამო დასავლეთ გერმანიაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ წყალდიდობას.

მდინარეები საგრძნობლად გაიზარდა კელნში, ესენში და დიუსელდორფში.

დანგრეულია გზები. წყალდიდობამ დაანგრია რამოდენიმე სამთო მადნო დაწესებულება. წყალმა დაჰფარა მრავალი სახლი.

## რურის გაფიცვების შესახებ.

რურის მეპატრონეებმა მიმართეს მუშებს ახალი წინადადებით უთანხმოების მოგვარების შესახებ.

ფიქრობენ, რომ გაფიცვები ჩქარა შეწყდება, ვინაიდან მუშები ვითომც მზად არიან მიიღონ მეპატრონეების წინადადებაო.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურო აღნიშნავს რურის პროვოკაციულ გამოსვლებს, ფაშიზმის გაძლიერების საფრთხეს და მოუწოდებს კომუნისტებს სასტიკად დაიცონ დისციპლინა და შეასრულონ კომპარტიის ინსტრუქციები.

## მე ვარ სისხ. სამ. ბოროტმოქმედთა საზოგადოების მეთაური.

## მუსოლინის სიტყვა პარლამენტში.

იტალიის პარლამენტის სხდომაზე მუსოლინიმ ილაპარაკა ფაშიზმის საშინაო პოლიტიკის ამოცანებზე.

„მე ბრალს მდებენ—განაცხადა მან—იმაში, რომ მოვაწყე იტალიაში „ჩეკა“ რუსეთის მაგალითის მიხედვით. იტალიაში „ჩეკა“ არას დროს არ ყოფილა. ძალადობის შემთხვევები ყოველთვის ხდებოდა უხეში და არა შორს მჭვრეტელ ადამიანების მიერ“.

შემდეგ მუსოლინი ამბობს, რომ ფაშიზმს არ ეშინია კრიტიკის, მაგრამ ეს კრიტიკა უნდა იყოს საღი და სამართლიანი. იმავე დროს მუსოლინი აპათილებს ბრალდებას, რომ ფაშიზმი გაუბედავი და სუსტი გამოდგაო.

„როცა საჭირო იყო-ამბობს მუსოლინი-მე არ შევჩერებულვარ გადამწყვეტ მოქმედების წინაშე. მე 12 საათში გავაკეთე ლიკვიდაცია მეფის გვარდიის აჯანყების და რამოდენიმე დღეში ჩავახრჩე კიდევ სხვა სახიფათო და საშიში მდგომარეობანი.

ამბობენ, რომ ფაშიზმი—ეს ბარბაროსების კავშირი, ბანდიტების მოძრაობაა.

მე ვიღებ თავისთავზე სრულ პოლიტიკურ, ზნეობრივ და ისტორიულ პასუხისმგებლობას ყველაფერში, რაც მოხდა.

თუ ჩვენ სისხლის სამართლის ბოროტმოქმედთა კავშირი ვართ, იმ შემთხვევაში მე ვსთვლი თავს ამ კავშირის მეთაურად.

მე ვეცდები იმ ზომების განხორციელებას, რაც საჭიროა ერის ინტერესებისათვის.

ოპოზიციას რესპუბლიკანური სარჩული აქვს.

მის მიერ დაწყებულმა ბრძოლამ უკვე მოიტანა თავისი შედეგები.

უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში მოკლულ იქნა 11 ფაშისტი.

ბრძოლა იშლება მთელ ხაზზე. და როცა ერთი მეორეს პირდაპირ სდგას ორი მოძრაობა, დავა გადაჭრილ იქნება მხოლოდ ძალით.

მე ვაცხადებ, რომ საკითხი სავსებით იქნება გადაჭრილი ფაშიზმის მიერ.

დარწმუნებული იყავით, რომ ჩემი გამოსვლიდან 48 საათის შემდეგ მდგომარეობა გაირკვევა და გაიწმინდება როგორც ჰაერი“?

მუსოლინის ხშირად აწყვეტინებდენ სიტყვას ტაშით.

სიტყვის გათავების შემდეგ მხურვალე ოვაცია გაუმართეს მას.

### „48 საათის შემდეგ“.

პარლამენტიდან დაბრუნებისთანავე მუსოლინმა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტრო, გზათა სამინისტრო, ჯარის სარდლობა და დამცველი რაზმის უფროსობა.

## პოლონეთი განაგრძობს ჩვენს საწინააღმდეგო კამპანიას.

პოლონეთის პრესა განაგრძობს საბჭოთა საწინააღმდეგო კამპანიას.

აქ ის სარგებლობს ბალტიის სახელმწიფოების კავშირით საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, სცდილობს საბჭოთა კავშირი დააშინოს აიძულოს ის წავიდეს დათმობებზე პოლონეთთან.

## პოლონეთის მთავრობა ახალ ზომებს მიმართავს მშრომელთა წინააღმდეგ.

პოლონეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მემამულეების დასაცავად აღმოსავლეთ ადგილებში შემოიღოს გლეხთა საყოველთაო საწინდარი.

ამის საპასუხოდ დასავლ. ბელორუსიის კომპარტიის ცეკამ განაცხადა, რომ თუ მთავრობა გაატარებს ამ ზომებს და მებს და გააჩაღებს მკვლელობას გლეხებს შორის, იმ შემთხვევაში კომპარტია გამოვა გლეხთა დასაცავად.

პოლიციის მთელ მხეცურ მოქმედებაში პასუხისმგებელი იქნება მემამულეები, მღვდლები და მოხელეები. ყველა ესენი განურჩევლად აგებენ პასუხს გლეხის სიკვდილში და მისი ქონების განადგურებაში,

## წყალდიდობის საფრთხე ლენინგრადში.

მდინარე ნევა, რომელმაც დაიწყო გადიდება 5 იანვარს დილის 7 საათზე, 11 საათამდე გაიზარდა 2 ფუტითა და 7 დუიმით, რის შემდეგ წყალმა იწყო კლება, მაგრამ ნელა.

ახალი ციკლონის (ქარი) მოლოდინში გამოურკვეველი მდგომარეობა იქმნება.

5 იანვარს 3 საათზე წყალმა კვლავ იწყო გადიდება.

## საბჭოთა კავშირში გამგზავრების წინ.

5 იანვარს საფრანგეთის პრემიერმა ერიომ მიიღო საბჭოთა კავშირში ელჩად დანიშნული ჟან ერბეტტი და ითათბირა მასთან.

## ჟაკ სადულის პროცესი.

საფრანგეთის კომუნისტის სადულის პროცესი დაიწყება [illegible] იანვარს ორლეანში.

## თავხედობასაც საზღვარი აქვს.

დახურულ იქნა ინგლისის ოფიციოზური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა სტამბოლში.

გაზეთის დახურვის მიზეზის შესახებ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარემ ფეტხი-ბეიმ განაცხადა: „ხსენებულმა გაზეთმა ისარგებლა ჩვენი სტუმართმოყვარეობით და იქამდის მივიდა, რომ ჩვენი მთავრობის მოღვაწეობა მონათლა ბარბაროსობად.

ასეთი ლაპარაკისა და საშინაო საქმეში ჩარევის უფლებას ჩვენ არავის არ მივცემთ".

ამ ლაპარაკის დროს მეჯლისის სხდომაზე გაისმოდა სასტიკი შენიშვნები ინგლისის მიმართ.

## ინგლისის მუშათა პარტიაში.

ინგლისის მუშათა პარტიაში თავს იკავებენ და არაფერს ამბობენ ამ ჟამად ბრიუსელში გახსნილ მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების აღმასკომების სხდომების შესახებ.

ცნობილია, რომ პერსელს განზრახული აქვს გასცეს სასტიკი პასუხი ვანდერველდეს და სხვებს, რომლებიც ილაშქრებენ საბჭოთა კავშირში ნამყოფ ინგლ. პროფ. კავ. დელეგატების წინააღმდეგ.

## ცეცხლი მიხეილის საავადმყოფოში.

### დაზიანდა მხოლოდ სახლი.

ადამიანის მსხვერპლი არ არის.

გამოირკვა რომ ცეცხლი გაჩნდა ღუმელის მილისაგან, რომელიც გაყვანილი იყო მორიგე ექიმების ოთახში. ცეცხლის გაჩენა შეიტყო დარაჯმა, რომელმაც საჩქაროდ გამოუძახა ცეცხლის მქრობელ რაზმს.

ცეცხლმა დააზიანა მხოლოდ შენობა, სახელდობრ: სახურავი შენობის წინა მხარეზე, ყოფილი ეკლესიის ბინა და ლაბორატორიის ჭერი.

არც ერთი საავათმყოფო ოთახი არ დაზიანებულა. ადამიანის მსხვერპლი არ არის. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ავადმყოფთა შორის, ექიმების დროზე მოსვლის გამო სრულიად არ ჰქონია ადგილი პანიკას (შიშს). საქმით პერსონალის ენერგიული მუშაობით, ავადმყოფები გადაყვანილ იქნენ სხვა განყოფილებებში.

ცეცხლის გაჩენის მიზეზს იკვლევს სპეციალური კომისია.

## ამხ. სემაშკო ახალ მედიცინის შესახებ.

სამაზრო აღმასკომების საზოგადო განყოფილებების გამგეთა თათბირზე ამხ. სემაშკომ გააკეთა მოხსენება ახალი მედიცინის შესახებ.

მან საჭიროდ სცნო სოფლის მედიცინის გადასინჯვა, მისი დაკავშირება ახალ აღმშენებლობასთან, რომელსაც ადგილი აქვს დღეს სოფლად. სოფლად ოლქები უნდა გახდენ აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ცენტრად. ამიტომ საავადმყოფოების აგება ოლქებში უნდა იქნას შეფარდებული საოლქო ცენტრების სინამდვილესთან.

## ებრაელთა სოფლის პირველი საბჭო.

ებრაელების ახალშენში (კიევის გუბერნიაში) დიდის ზეიმით გაიხსნა ებრაელების პირველი სოფლის საბჭო მთელ კიევის გუბერნიაში.

გახსნაზე მონაწილეობდა მთელი ახალშენი. მუშები მოვიდნენ მუსიკით. მეზობელ სოფლებიდან თავი მოიყარა მრავალმა გლეხმა, კომკავშირელებმა და ახალგაზრდა პიონერებმა.

## ამხანაგური სასამართლო.

კოოპერაციის მომუშავეებმა გაასამართლეს კავშირის წევრი რომელიც ხშირად ლოთობდა და შემჩნეულ იქნა ქურდობაში.

კავშირის სახელის შებღალვისათვის დამნაშავე გარიცხულ იქნა კავშირიდან. მაგრამ სასამართლომ მიიღო მხედველობაში მისი გაუნათლებლობა და კერძო მესაკუთრეების მიერ განუწყვეტელი ექსპლოატაცია (ყვლეფა) მაზე, და ამიტომ მიუსაჯეს მხოლოდ 4 თვით პირობითი გარიცხვა კავშირიდან.

## სამხედრო საქმე

### შენიღბვის მოხერხებულად მოხმარება და დისციპლინის დაცვა.

წინა წერილში მოკლეთ შევეხეთ შენიღბვის მნიშვნელობას. საჭიროდ მიმაჩნია ერთი მაგალითის მოყვანა უკანასკნელ მსოფლიო ომიდან, რომელსაც ადგილი ქონდა კავკასიის ფრონტზე.

ეს იგი 1915 წელ. დეკემბრის რიცხვებში, როდესაც ჩვენი ჯარები (პირველი კორპუსი) სხვა და სხვა სტრატეგიული მოსაზრებით უმოქმედოთ იდგა გამაგრებულ პოზიციებზე კიზილდეა-ხოროსან-ტარხოდჟა შაკ ეკისას ხაზზე კერძოთ, ჩვენი პოლკი იდგა მდინარე არაქსის მარჯვენა ნაპირას. ჩვენი იქ ხანგრძლივი ყოფნის დროს როგორც ჩვენ ისე თათრებმა შესძლეს სათანადოთ გაემაგრებიათ პოზიციები.

ჩვენი პოლკის კედარის წინ თათრებმა ააგეს დასაყრდნობი პუნქტი. უკანასკნელი ფრიად მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენდა ტაქტიკურათაც.

მისი მნიშვნელობა თათრების მიერ წინასწარ იყო გათვალისწინებული და მართლაც რომ სათანადო ზომები მიიღეს მისი გამაგრებისათვის.

თვით პუნქტი შემაღლებას, პატარა გორაკს წარმოადგენდა. მწვერვალზე ირგვლივ შემოარტყეს განუწყვეტლივი საანგრე (რედუტი) და თან შემოავლეს მავთულხლართი.

ზამთარი იყო. მიწა თოვლით დაფარული, მავთულხლართის სარები აშკარათ თვალსაჩინო იყო ჩვენთვის. საზოგადოთ ჩვენთვის აშკარა იყო ის, რომ თუ შეტევაზე გადავიდოდით უნდა გადავსულიყავით წინასწარ არტილერიის მომზადების შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ ღამით.

ეს ასედაც მოხდა. დეკემბრის ბოლო რიცხვებში შეტევაზე გადავედით. არტილერიის უქონლობის გამო შევუტიეთ ღამით ოთხი საათიდან იმ პირობით, რომ გათენებისას მტრის პოზიციები ხელში გვეგდო.

შემდინარე ტარ-ხოჯა მშვიდობიანათ გადავედით. მდინარეზე გადასვლისას მტერმა ჩვენი მოძრაობა გაიგო და სათანადო ზომები მიიღო. ატეხა საშინელი სროლა. ახმაურებდა მეტრალიოზები. სანამ პოზიციებს დაუახლოვდებოდით მტრის ცეცხლი ვერაფერს გვაკლებდა. მაგრამ უკვე მივაღწიეთ იმ დროს, როდესაც იძულებული ვიყავით წინსვლა შეგვეჩერებია მავთულ-ხლართის გამო. როტა დალაგდა. დანიშნული სალდათებით მაკრატლებით გავიდნენ მავთულ-ხლართის გასაჭრელათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

მტერმა ცეცხლი გააძლიერა რეზერვები აამოქმედეს.

მრავალი სალდათი დაეცა, მაგრამ მავთულები უვნებლად დარჩა. თან მდგომარეობა ურესდებოდა მარჯვნივ კედრიდან „ურას" ხმა მოისმა, ჩვენ კიდევ დალაგებული ვართ უმოქმედოთ, თან რიჟრაჟიც ახლოვდება. ჩვენი მდგომარეობა მეტათ სახიფათო იყო. მავთულხლართის არსებობა სულს გვიხუთავდა.

არავის ეჭვიც არ დაებადებია მის არსებობაში.

რიჟრაჟმაც თავი იჩინა. მტერი თანდათან გაძლიერდა. კონტრიერიშები დაიწყო. უკვე გათენდა და ჩვენ უმოქმედოთ ვართ.

„მავთულების არსებობამ" ტყუილად დრო დაგვაკარგვია და საშინელ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. მტრის დასაყრდნობი პუნქტი უვნებლიეთ დარჩა. ამას მოყვა ის რომ ჩვენები მარჯვნივ და მარცხნივ იძულებული იყვნენ უკვე დაჭერილი პოზიციები დაეტოვებიათ.

ჩვენი მდგომარეობა აუწერელი იყო. აქ დარჩენა შეუძლებელი შეიქნა. უკან დახევა ჩვენთვის განადგურებას მოასწავებდა.

მეტი შველა ჩვენთვის არ იყო. ვიწყეთ ნაწილობრივად უკან დახევა. მაგრამ ვაი იმის თანა დახევას. როტის სამი მეოთხედი დავკარგეთ. თუ მეხსიერება არ მღალატობს ას კაცამდე დაჭრილი და სამოცამდე მკვდარი დავტოვეთ.

მთელ კედარონზე დამარცხება ვიგემეთ.

მეორე დღეს დავიწყეთ არტილერიის მომზადებით. არტილერიამ სათანადო შედეგი გამოიღო.

საათის 15 ზე თათრებმა იწყეს სანგრებს შორის უწესრიგოთ სიარული. ეტყობოდათ საერთო მღელვარება. სხვათა შორის მავთულ-ხლართებში დაიწყეს გასვლა-გამოსვლა. „ჩვენთვის ნათელი იყო უკვე არტილერიის მოქმედების შედეგები".

მეორე დღეს საღამოს 17 საათზე კვლავ შეტევაზე გადავედით. ახლა უფრო ადვილათ მივაღწიეთ მიზანს. თათრები ნაკლებ წინააღმდეგობას გვიწევდნენ.

მივაახლოვდით დასაყრდნობ პუნქტს და ვნახეთ, რომ იქ არავითარი მავთულ-ხლართი არ არსებობდა, არამედ იყო მხოლოდ ცარიელა სარები. შენიღბვის მიზნით. აი რა შედეგი გამოიღო მოხდენილმა შენიღბვამ. მთელი ჩვენი იქ ყოფნის დროს არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე თათარს შენიღბვის დისციპლინა დაერღვია თავის მოქმედებით, რომ ჩვენთვის ნათელი ყოფილიყო შენიღბვას შინაარსი.

თუ მეორე დღეს თათრები მავთულხლართში გადი-გამოდიოდნენ, რასაც ჩვენ ტყუილად არტილერიის ცეცხლის შედეგს ვაწერდით, ეს იმიტომ, რომ თათრებს წინასწარ ქონდათ გადაწყვეტილი პოზიციების დატოვება სხვა და სხვა ტაქტიკური მიზნით.

აი თქვენ ხედავთ რა მნიშვნელობა აქვს შენიღბვის მოხდენილად მოხმარას და შენიღბვის დისციპლინის დაცვას.

მ. გ.

## როგორ უნდა მუშაობდნენ სამნეო დამხმარე კომისიები.

### როგორ მუშაობენ.

სამხედრო კომისართა თათბირმა და მე-IV კონფერენციამ ხაზი გაუსვა ნაწილებში წარმოებულ მუშაობას და დაშვებულ შეცდომების გასწორების აუცილებლობას.

უკანასკნელი მისცემს ნაწილში მომუშავე ამხანაგებს საშუალებას სწორად მიუდგნენ ამა თუ იმ საკითხების გადაწყვეტას და სხვა და სხვა ორგანიზაციების სწორ ჩარჩოებში ჩამოყალიბებას.

ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია გამოსწორება იმ შეცდომებისა, რომელსაც ადგილი აქვს თითქმის ყველა ნაწილების სამნეო დამხმარე კომისიების მუშაობაში.

უპირველესად—კარგად არ არის გარკვეული და განხილული დებულება სამნეო დამხმარე კომისიების შესახებ, რის შედეგათ ჩვენ სამნეო დამხმარე კომისიების ნაცვლად გვაქვს, სახელ შეცვლილი ძველი მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე ჯგუფები.

ამის დახასიათებისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი შემთხვევები, როდესაც სამნეო დამხმარე კომისიები კონტროლს უწევენ ნაწილის სამნეო ორგანოებს და მეთვალყურეობენ სხვა და სხვა კმაყოფის მიღებისა და დარიგების დროს.

არმიის ერთ ერთ ნაწილში სამნეო დამხმარე კომისიას თავის სხდომაზე დაუდგენია: „დაევალოს ლეგიონის თავის თანაშემწეს (სამნეო ნაწ. უფ.) გააკეთოს მოხსენება დამხმარე კომისიის სხდომაზე, სამნეო ნაწილის, მეკუჭნავეებზე ხელმძღვანელობის შესახებ მისი ე. ი. ხელმძღვანელობის შესწორების მიზნით."

აქედან ნათლად სჩანს, რომ სამნეო დამხმარე კომისიები ზოგიერთ ნაწილში ამცდარა თავიანთ მოვალეობას და შეჭრილა სამნეო აპარატების ადმინისტრატიულ ფუნქციებში.

ამ მდგომარეობის კიდევ უფრო ნათლად დასაბუთებისათვის მოვიყვან კიდევ ერთ შემთხვევას; ერთ ერთ სამნეო დამხმარე კომისიას, მუშაობის განაწილების დროს, თავის ერთ ერთ წევრისათვის დაუვალებია მეთვალყურეობა ნაწილის სამნეო აპარატზე.

აღნიშნული ფაქტები მოყვანილია, როგორც შეცდომით გაგებული კომისიის მუშაობის შინაარსი, როგორ არ უნდა იმუშაოს სამნეო დამხმარე კომისიებმა.

### თუ როგორ უნდა მუშაობდნენ.

ეხლა კი შევუდგეთ მეორე მხარეს გამორკვევას, თუ როგორ უნდა მუშაობდნენ სამნეო დამხმარე კომისიები?

თვით სახელწოდება გვიჩვენებს, რომ ეს არის ორგანიზაცია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სამნეო აპარატს, ნაწილის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიღებულ ზომების ცხოვრებაში გატარებას.

აღსანიშნავია აქ ერთერთ ლეგიონის სამნეო დამხმარე კომისიის ანგარიში, სადაც კომისიას მოყავს მთელი რიგი გატარებული ზომებისა პურის ხარისხის, ხმელ მწვანილის და სადილის გაუმჯობესებისათვის. მომავალ მუშაობის გეგმაში კი შეტანილი აქვთ კონკრეტიული დავალებები წ. თ. არმიელთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებლად.

ეს იმას მოწმობს, რომ სამნეო დამხმარე კომისიების არსებობა აუცილებელია და მუშაობის სწორად დაყენებით შეუძლიათ საგრძნობლად დახმარება გაუწიონ ნაწილის სამნეო აპარატს.

არა ნაკლებ სერიოზულ მათ დავალებას შეადგენს გარკვევა წ. არმიელთათვის ნაწილის სამნეო მდგომარეობისა, ახსნა-განმარტება იმისა თუ რად არსებობს ნაკლულოვანებანი სამნეო დარგში და რა საშვალებით იგი უნდა გამოსწორდეს.

საფუძვლად სამ.. დამხ. კომ. მუშაობას უნდა დაედოს:

1) ყოველმხრივი დახმარება სამნეო აპარატს ნაწილის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიღებულ ზომების გატარებაში და

2) თვალყურის დევნა ნაწილის სამნეო მდგომარეობისადმი და დამუშავება იმ წინადადებათა და პროექტებისა, რომელნიც შესძლებენ როგორც ნაწილის ისე სამხედრო მოსამსახურეთა ცალკე კატეგორიების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

კომისიებმა არ უნდა დაივიწყონ წითელ არმიელთა აქტიური ნაწილის გამოყენება ს. დ. კ. მუშაობაში და აგრეთვე დაკავშირება, საკავშირო კომისიის საშუალებით, სხვა ნაწილების სამნეო დამხმარე კომისიებთან—უკანასკნელს აქვს დიდი მნიშვნელობა გამოცდილების განაწილებისათვის.

დასასრულს საჭიროა ამ დარგში მიღწევების და საერთოდ ნაწილის ყოფა-ცხოვრების საკითხების გაშუქება გაზეთში, ერთი ნაწილის გამოცდილების მეორე ნაწილის მიერ აღრიცხვისათვის და კოლექტიური აზრით ორგანიზაციის გაძლიერებისათვის.

მ. ქ.




## მესამე ასეული ფეხზე დგება.

პირველი ლეგიონის მესამე ასეული თანდათან ეწყობა.

აქამდე სხვა და სხვა მიზეზების გამო, წითელი კუთხე არ გვქონდა მოწყობილი, მაგრამ ეხლა ეს დაბრკოლება გადალახულია.

ამ ჟამად ჩვენმა წითელმა კუთხემ არ შეიძლება მნახველში სიამოვნება არ გამოიწვიოს.

პოლიტსაათები ასეულში სისტემატიურათ ტარდება. პოლიტხელს დიდი შრომა სჭირდება, რადგანაც წერა-კითხვის უცოდინარ წითელ-არმიელებთან აქვს საქმე.

პოლიტსაათთან ერთად სწარმოებს სასკოლო მეცადინეობა, რომელსაც წითელ-არმიელები დიდი ყურადღებით ეკიდებიან.

სანიტარულ ლექციებიც სისტემატიურად იკითხება ასეულში, მან უკვე შესაფერი ნაყოფი გამოიღო.

მოლაშქრეები ხშირად აფრთხილებენ ერთმანეთს უსუფთაობისაგან.

ახალ უნცროს მეთაურებთან წითელ-არმიელებს მეტად კარგი დამოკიდებულება აქვთ.

ყველა მოლაშქრეები კეთილ სინდისიერათ ასრულებენ თავის მოვალეობას.

წ. არმ. ალ. ტაბატაძე.

## მზვერავთა ასეულის ცხოვრებიდან.

მზვერავთა ასეულს 6 სე ტერ-ლეგ იონში საფუძველი ჩაეყარა 1-ლ ქ. მ. დივიზიის უნცროს მეთაურთა სკოლის დაშლის შემდეგ, და ამ ჟამად ის ერთ სამაგალითოდ ითვლება ლეგიონში.

ასეულის ყაზარმები მორთულია ლოზუნგებით, პლაკატებით და რევოლიუციის ბელადების სურათებით. ასეულს აქვს თავისი მშვენივრათ მოწყობილი ლენინის კუთხე, რომელიც მოაწყვეს წითელ არმიელებმა ამხ. ლაითაძის ხელმძღვანელობით.

ლენინის კუთხეში არის შემდეგი განყოფილებები: პოლიტიკური განყოფილება, სანიტარული და სამხედრო მეცნიერების განყოფილებანი.

თითეული მათგანი მორთულია შესაფერისად.

სანიტარულ განყოფილებასთან არის ჯანმთელობის დაფა, რომელზედაც კვირაში სამჯერ იკვრება ექიმის სხვა და სხვა ხასიათის წერილები. ასეულს აქვს აგრეთვე მეორე დაფა სადაც ყოველდღიურად აღნიშნულია დიდი ასოებით ახალი ამბები გაზეთებიდან. კუთხეში მრავლად მოიპოება ლიტერატურა ლენინისა და ლენინიზმის შესახებ. არის სამკითხველოც, ყოველდღიურად ტარდება სხვა და სხვა ხასიათის საუბრები, რაც ძლიერ აინტერესებთ წითელ არმიელებს.

სამხედრო საქმე სკოლაში კარგადაა დაყენებული.

სამხარი ესმაშვილი.

## კამათი რელიგიის გარშემო.

25 დეკემბერს, მეორე დივიზიის ნაწილებისათვის ქ. ქუთაისში მოეწყო კამათი რელიგიის გარშემო.

მოხსენებით გამოვიდა მეორე ქართ. დივიზიის პოლიტგანთან ახკომკავშირელთა ორგანიზაციების ინსტრუქტორი ამხ. მიროტაძე. მოხსენება ძლიერ შინაარსიანი იყო.

ამხ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო განსაკუთრებით ქრისტიანულ სარწმუნოებას, ქრისტეს და მის გარშემო შექმნილ ლეგენდებს. შემდეგ ამხანაგი გადავიდა აგრეთვე, იმაზე თუ რა როლი ითამაშა სარწმუნოებამ მშრომელი ხალხის დამონავების საქმეში და სხვა და სხვა ხანებში-პერიოდებში როგორ იყენებდენ გაბატონებული კლასები მას თავისი მდგომარეობის გასამტკიცებლად.

ისტორიული წარსულის მთელ სიგრძეზე, რელიგია ეხოლოდ მშრომელი ხალხის დაჩაგვრისა და კიდევ უფრო დამონავების ხელის შემწყობი იყო, ამიტომ ამ ჟამად მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა მივმართოთ მის წინააღმდეგ. პროპაგანდით, აგიტაციით და ცოცხალი მაგალითებით უნდა დაუმტკიცოთ ყველა მორწმუნე მუშებს და გლეხებს, რომ სარწმუნოებას მისთვის ზარალის მეტი არაფერი მოაქვს და ის აჩლუნგებს მათ გონებას.

ამხანაგის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობას ღებულობდა სამი მხარე: ერთი იცავდა მომხსენებლის აზრს ე. ი. სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლის აგიტაციის და პროპაგანდის საშვალებით. მეორე მხარე კი მოითხოვდა ერთის ხელის დაკვრით ეღგულიყო ყოველგვარი სარწმუნოებრივი ნაშთები. მესამე კი, პირიქით აღნიშნავდა რელიგიის და მისი წარმომადგენლების კულტურულ როლს ძველად. მას დიდი დამსახურება აქვს და მის წინააღმდეგ ასე ხელ აღებით ბრძოლა დაუშვებელიაო.

მოწინააღმდეგეთა შეკამათების შემდეგ, დამსწრე საზოგადოების მიერ არჩეულმა კომისიამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: რელიგიას ჯერ კიდევ მრავალ მშრომელთა შორის მაგრად აქვს ფეხი მოკიდებული და ამიტომ საჭიროა მას წინააღმდეგ მეცნიერული პროპაგანდა აგიტაცია და მათი დარწმუნება იმაში, რომ ის დიდი ზიანის მომტანია. კრება ტაშის ცემით შეეგება ამ გადაწყვეტილებას.

სერმონია.

## პირველი ლეგ. ასეულის საქმიანობიდან.

პირველ ხანებში ჩვენი ასეულის სამკითხველოს ცოტა მკითხველები ყავდა, მაგრამ ლენინის კუთხის მოწყობის შემდეგ ყოველ საღამოობით უამრავი მკითხველები ახვევია სამკითხველოს. წერა-კითხვის მცოდნენი თვითონვე ეცნობიან ახალ-ახალ ამბებს, ხოლო არა მცოდნენი კი სხვას აკითხებენ გაზეთს და დიდის ინტერესით უგდებენ ყურს წერილის შინაარს.

ასეულს გამოფხიზლება ეტყობა პოლიტიკო-კულტურულ განათლების ფრონტზე. აღსანიშნავია ისიც რომ, ჩვენი არმიელები კარგათ ითვისებენ სამხედრო სამსახურს. მათთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს არსებული დისციპლინასთან შეგუება.

— ყველანი შეუპოვარი და თავისუფლები ვართ — ხშირად გაიგონებთ აქა-იქ არმიელების ხმას. — დიახ, მოვსცდეთ ჩვენ სახ-კარს დროებით, მხოლოთ ეს თავისუფლება ნუ დაგვეკარგება. — აი რას გაიგონებთ ამხანაგებიდან ყოველ საღამოობით მოდიან ასეულში პოლიტსკოლის კურსანტები და გვ საუბრებიან სხვა და სხვა საქმიანობის საკითხებზე. გვირკვევენ ჩვენთვის გაუგებარ საკითხებს და მხიარულად ატარებენ ჩვენთან თავისუფალ დროს.

ბ. პავლე.

## წითელ არმიელთა საღამო.

2 იანვარს, ჩვენს ცენტრალურ კლუბში მე-6 ტერიტორიალურ ლეგიონის დრამ-წრემ დასდგა სამ მოქმედებიანი მელოდრამა „ორი დარაჯი“. საღამოს დაესწრენ თბ. გარნიზონში მდგომ ქართულ ნაწილების წითელ არმიელები, მეთაურები და პოლიტშემადგენლობა.

საღამოზე უკრავდა 1 ლ ლეგიონის ორკესტრი. წარმოდგენის დაწყებამდე წინასწარ განუმარტეს არმიელებს პიესის შინაარსი და მნიშვნელობა. ასეთი მეთოდი ძლიერ კარგია, რადგან წ. არმიელმა უკვე წინასწარ იცის თუ რას უნდა უყუროს. კარგია ასე მოიქცეოდენ ჩვენი ნაწილების ყველა დრამ-წრეები.

თვით პიესა სავსეა დრამატიული მომენტებით: აქ მოცემულია ორი სერჟანტის (ჯარის კაცები) ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული, სასიკვდილოდ თავგანწირვა და მრავალი სხვა, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა არმიელებზე.

ამ პიესის დადგმა მეტად ძნელია ჩვენი ძალებით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მე-6 ტერ-ლეგიონის დრამწრემ, მიუხედავად ზოგიერთი მოთამაშის სისუსტისა (ადიუტანტი, და ჯ-ს ქალი..) მშვენივრად შესძლო პიესის ძნელი ადგილების დაძლევა.

ტეხნიკურის მხრივ: დადგმა, ანსამბლი და გრიმი—შესაფერისი იყო.

დამსწრენი ძლიერ კმაყოფილნი დაიშალნენ.

ს—ნ.

## ჩვენს სასადილოს ბევრი ნაკლი აქვს.

პირველ მსროლელ ლეგიონის ყაზარმებში მოთავსებულია მეთაურთა სასადილო.

სადილი კეთდება ორი თავისაგან ხან კარგი და ხან ცუდი, ყოველ შემთხვევაში სასადილოს გამგე ცდილობს სადილის კარგათ მომზადებას, მაგრამ არის ერთი უხერხულობა. სადილი მაშინ არის მზათ, როდესაც მეთაურებს უკვე მეცადინეობა ეწყება წითელ არმიელებთან. საჭიროა სადილი მაშინ იყოს მზად სანამ მეთაურები დაიწყებდენ მეცადინეობას წით. არმიელებთან თორემ, მეცადინეობა დიდ ხანს გრძელდება და უხერხულ მდგომარეობაში ვართ.

ამას გარდა არ არის საყოფი სკამები. თითქმის ყოველთვის გვიხდება რიგში დგომა და ცდა თუ როდის განთავისუფლდებიან ისინი.

ამას დავანებოთ თავი.

დილით ძლიერ გვიან აძლევენ ჩაის, სახელდობრ 10 თუ 11 საათზედ ე. ი. მაშინ როდესაც მეთაურები 7 საათიდან 12 მდის მოუშორებლად არიან თავიანთ წითელ არმიელებთან. საღამოთი კი 4 საათზედ გამოკეტავენ სასადილოს და მეორე დღის 8—9 საათამდის სძინავთ. ამის გამო ლეგიონის შემადგენლობას უხდება კერძო მოვაჭრესაგან იყიდონ ჩაის წყალი. რად უნდა ხდებოდეს ასე? ნუ თუ შეუძლებელია ჩვენი სასადილოს გამგისათვის ამის მოგვარება, რომ უფრო იაფ ფასებში შეიძლებოდეს ჩაის წყლის მიღება?

სამხარი ბოკო.

## პირ. ლეგ. მეექვსე ასეულის ცხოვრებიდან.

ჩვენი ასეულის ახალწვეულებიდან 5 პროცენტი საშკალო მცოდნეა. უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარებია, რის გამო დიდი ყურადღება ექცევა მათი მომზადების საქმეს.

ამხანაგების დიდი უმრავლესობა სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებია და ძლიერ უჭირთ ქართულ ენაზე ლაპარაკი. ასეულის შემადგენლობა დაყოფილია ჯგუფებათ.

თითეულ ჯგუფში განცალკავებით სწარმოებს მეცადინეობა. წერა-კითხვის შესწავლის საქმეს დათმობილი აქვს ყოველ დღიურად ორ-ორი საათი. წერა-კითხვის უცოდინარები დაყოფილი არიან სამ ჯგუფად. მასწავლებლებს გამოყოფილი აქვთ ცალკე ოთახი, წითელ არმიელები განსაკუთრებული ხალისით ეკიდებიან მეცადინეობის საქმეს. სწავლისადმი სურვილი მათში ძლიერ დიდია.

ასეულში დიდის ნაყოფით სწარმოებს აგრეთვე თოფზე და სამწყობრო მეცადინეობაც.

საერთოდ ასეული ენერგიულად მუშაობს.

წ. არ. ბ. ხუნდაძე

## საბიბლიოთეკო წრის მეცადინეობა.

31 დეკემბერს შესდგა პირველი ლეგიონის საბიბლიოთეკო წრის სხდომა. მეცადინეობის დაწყებამდე წრეში-წინ-დაწინვე იქნა დანიშნული პრაქტიკული ვარჯიშობისათვის დღეები. დანიშნული იქნა ორი დღე კვირაში. ხუთშაბათი და პარასკევი.

შემდეგ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქ. ქავთარაძემ. გავეცანით საინვენტარო წიგნს, მის ფორმას და კერძოთ კი სისტემატიურ და საალფავიტო კატალოგებს და მათ მნიშვნელობას, ფორმულიარების წიგნს და სხვა.

პირველი მეცადინეობა ნაყოფიერად ჩატარდა. როგორც წრის ხელმძღვანელი, ისე მსმენელები დიდი მონდომებით ეკიდებიან მეცადინეობის საქმეს. მოხსენების შემდეგ ამხ. ქავთარაძეს მისცეს ზოგიერთი საყურადღებო შეკითხვები და ამით დათავდა პირველი მეცადინეობა.

შემდეგი სამეცადინო დღისთვის უფრო დაინტერესებით ემზადებიან ამხანაგები.

მ. უბილისაშვილი.

## დაპირებულს შესრულება უნდა

როდესაც ქართულ მეთაურთა სკოლიდან გამოგვიშვეს ახალი წითელი მეთაურები, ჯამაგირებიდან დაგვიკავეს თვითეულს შვიდ-შვიდი მანეთი იმ პირობით, რომ გამოგვიგზავნიდენ ჩვენი საყვარელი ბელადის—ლენინის მთელ თხზულებას.

ყველა ამხანაგები დიდი სიხარულით შეეგებენ ამ გარემოებას. დანარჩენი ფული თანდათან უნდა გადაგვეხადა. მას შემდეგ აგერ რამოდენიმე თვემ განვლო და წიგნების შესახებ არაფერი ვიცით. იმედია ჩვენი აღმზრდელი სკოლა არ დაგვივიწყებს და შეგვისრულებს დაპირებულს. ლენინის წიგნებს ცის მანანასავით მოველით—და ამ მოლოდინს ნუ გაგვიბათილებთ თქვენს ყოფილ კურსანტებს.

ა. ჭკადუა.

## წითელ არმიელთა შემოქმედებანი

„მებრძოლი“ (პირ. ლეგ. პირველი ასეულის ყოველკვირეული კედლის გაზეთი.)

ამ ჟამად გამოვიდა „მებრძოლი“-ს მეორე ნომერი. გაზეთი უმთავრესად კომუჯრედის ორგანოთ უნდა ჩაითვალოს და კარგად ემსახურება თავის დანიშნულებას. გაზეთში დაწვრილებით არის გაშუქებული ასეულის ცხოვრების, როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. გაზეთში მოთავსებულია იუმორისტული განყოფილება სხვა და სხვა მოსწრებული კარიკატურებით. ასეულში მრავალი დეფექტები გამოასწორა ამ გაზეთმა. წითელ არმიელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კედლის გაზეთში. ამას გარდა განზრახულია ჟურნალის გამოშვებაც, რომლის ხელმძღვანელობა იკისრა ჩვენმა პოლიტხელმა ამხ. სვანიძემ.

სამხარი შ. კვინიკაძე.

## ამბები სოფლებიდან

### მეაბრეშუმეობა მეფუტკრეობა.

ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის სამიწად-მოქმედო განყოფილებამ შეიმუშავა გეგმა მაზრაში მეაბრეშუმეობა მეფუტკრეობის აღორძინების შესახებ.

### გლეხების კომუნა.

სოფელი მეჯვრისხევის გლეხებმა გადასწყვიტეს შედგინონ სასოფლო-სამეურნეო კომუნა.

### შეფობა სოფელზე.

ტფილისში მყოფმა ასკანელებმა (სოფელ გურიაში) შეადგინეს თავის სოფლის სამეფო კომისია, რომელიც შესდგება 5 კაცისაგან.

### საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ქუთაისში.

ქუთაისის აღმასკომმა დაამტკიცა რკ.-გზელ მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა.

**საქონლის კვებისთვის.** სოფ. უზრუნველყოფის კომისარიატმა შეამდგომლობა აღძრა საქ. სას.-სამეურნ. ბანკის წინაშე, მისცეს სესხათ სოფ. ბეკრეთის (ქართლი) გლეხკომს 500 მანეთი საქონლის საკვების შესაძენათ.

# ახალი ამბები.

— **ქომხსაზოს საბჭო** 8 იანვარს სალ. 5 საათზე 1-ლ ქართ. დივიზიის სამხედ. კომისრის კაბინეტში მოწვეულია საქ. ქიმიის მოხალ. საზოგადოების საბჭ-ს სხდომა.

— **პროფესორის მოწვევა.** ქომხსაზომ მოიწვია დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი ხიმეცნიერო-სატეხნიკო სექციის ხელმძღვანელათ.

— **მუშათა ჯანმრთელობის გამოკვლევა.** დაზღვეულ მუშათა სექციო განყოფილება შეუდგა პოლიგრაფიულ დარგში მომუშავე მუშათა ჯანმრთელობის გამოკვლევას.

— **გლეხთა სახახლე ტფილისში.** საქ. სახკომ-საბჭომ მიანდო ამხ. ჯუღელს, ელიავას და ქუქუკაშვილს გადაათვალიერონ გლეხთა სასახლის გასახსნელათ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა და გადასცენ ეს საკითხი საბოლოო გამოსარკვევათ ს. კ. პ. ცეკას.

— **ს. ქ. სახელმწ. გეგმის კომიტეტი.** სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქ. სახელმ. გეგმის კომიტეტის ხარჯთაღრიცხვა და შტატი.

— **ბრაუს გამოხდა.** ს. ქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ღარიბეს გლეხებს უფლება ეძლევათ წელიწადში ორი დამ ს განმავლობაში გამოხადონ არაყი აქციზის გადაუხდელათ.

— **გამოცდები უნივერსიტეტში.** სახელმწ. უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით გამოცდების სესიები სტუდენტებისათვის იწყება 20 იანვარს და გრძელდება 10 თებერვალამდე.

— **სოციალური აღზრდისათვის.** სოციალურ აღზრდის მთავ. სამმართველოს 1925 წლის ხარჯთაღრიცხვით განზრახული აქვს დახარჯოს სოციალზრდის საქმისათვის 30 ათასი მანეთი.

## ხელოვნება.

— **პენსია სარაჯიშვილის ქვრივს.** საქ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა გან. კომისარიატს აძლიოს ვანო სარაჯიშვილის ქვრივს იგივე პენსია, რომელიც ეძლეოდა განსვენებულს.

— **მსახიობ ყიფიანის მამული.** სახკომსაბჭომ დაადგინა განსვენებულ მსახიობის კოტე ყიფიანის მამული სოფ. ქვემხეთში გადასცეს მწერალთა კავშირს.

# მეცნიერება და ტეხნიკა.

## „პარაშიუტის“ მნიშვნელობა თანამედროვე ავიაციაში

თანამედროვე ავიაციის ასე სწრაფი განვითარება, გასაოცარი მიღწევები საჰაერო ხომალდების გაუმჯობესების საქმეში და სხვა, აუცილებლად იმის თავდებია, რომ კაცობრიობა მალე გადავა ჰაეროპლანების ფართოდ გამოყენებაზე, ერთი ადგილიდან—მეორეზე გადასვლის საქმეში და ის ჩვეულებრივ—ყველასათვის ხელმისაწვდომ საშვალებად გადაიქცევა.

მიუხედავად ჰაეროპლანების კონსტრუქციის (აგებულების) გაუმჯობესებისა, ჰაეროპლანის თითეული ძირს დაშვება ძლიერ სახიფათოა და არც ერთი მფრინავი უზრუნველყოფილი არ არის, რომ ის სიცოცხლეს არ გამოესალმება. საკმაოა ოდნავი არევ-დარევა მანქანის მუშაობაში ან მფრინავის გაუფრთხილებელი მოძრაობა, რომ ჰაეროპლანი თავბრუდამხვევი ტრიალით დაეშვას ძირს.

სწორედ ამიტომ საჭირო შეიქნა ისეთი საშვალების გამოძებნა, რომელიც ასეთი მარცხის შემთხვევების დროს, გადაარჩენდა მფრინავს და მის მგზავრებს. ასეთი გამონახული იქნა და მას ეწოდება „პარაშიუტი“ (დაკეცილი მატერია, რომელიც ფრინავს თან აქვს ზურგში მიკრული და მისი გადავარდნის დროს იშლება ქოლგასავით)

„პარაშიუტი“ საჰაერო მიმოსვლაში—ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც მისა შველებელი რგოლი ზღვაზე.

თანამედროვე საჰაეროპლანე პარაშიუტები—განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში დამზადებული პარაშიუტები, თან აქვს ავიატორს ან მგზავრს ზურგში. პარაშიუტები კეთდება ძლიერ გამძლე და მაგარი მატერიისაგან. ის ერთდაიმავე დროს უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: იყოს მაგარი, რადგან უხდება ერთი კაცის დაჭერა ჰაერში და შემდეგ კი რაც შეიძლება მსუბუქი. ასეთ მატერიათ კი, მრავალი ცდების შემდეგ გამოდგა აბრეშუმი.

ამნაირად ამერიკული პარაშიუტები მთლიანად მზადდება აბრეშუმისაგან და განირჩევიან თავისი დიდი გამძლეობით. აბრეშუმიდანვე მზადდება ის ორმოცი ლენტები, რომლებიც მიბმულია პარაშიუტზე. თითეულ ლენტს შეუძლია გაუძლოს 350 გირვ. სიმძიმეს. პარაშიუტის სიგანე უდრის 24 ფუტს. ამოდენა მატერია ისე მოხერხებულად არის დაკეცილი, რომ მისი მოცულობა არ აღემატება საშვალო ბალიშის სიდიდეს.

არა ნაკლები სიფრთხილე და სისწორეა საჭირო მაშინ, როდესაც ჰკეცავთ—ხვევთ პარაშიუტს. თუ ოდნავ შესცდით და ერთი მისი ნაოჭი ცუდათ შეიკეცა, საჭიროების დროს ის ველარ გაიშლება დავის დროზე და დაიღუპა უეჭველია.

ზურგზე მიმაგრების შემდეგ, ის ისეა მოწყობილი, რომ მავთულის რგოლი, რომელიც საჭიროა პარაშიუტის გასაშლელად მფრინავს მოსდის ზედ თეძოს თავზე, რომ ადვილად შეიძლებოდეს მასზე ხელის ჩამოკვრა. რგოლზე ხელის ჩამოკვრაა საჭირო რომ პარაშიუტი გაიშალოს.

უმთავრესი სიძნელეა ჰაეროპლანიდან გადაშვება სივრცეში და მარტო იმის განცდა, რომ ვაი თუ არ გაიშალოს პარაშიუტი, რგოლზე ხელის შეხებით.

ვისაც გამოუცდია ეს, ამბობს, რომ პირველად გადავარდნა ჰაეროპლანიდან სანამ გაიშლებოდეს პარაშიუტი, რომელიც თან გაქვს მიბმული, საშინელ შთაბეჭდილებას იწვევს, რადგან თავბრუდამხვევი სიჩქარით მიექანები ძირს, ხოლო როდესაც გაიშლება პარაშიუტი შემდეგ ჰაერში მოგზაურობა ყოველგვარ სიამოვნების გრძნობას აღემატება, რადგან ნელ-ნელა და თავისუფლად ეშვები ძირსო.

ასეთმა პარაშიუტებმა დიდი სამსახური გაუწიეს ამერიკის მფრინავებს.

ამ რამოდენიმე ხნის განმავლობაში არა ერთი მფრინავი და მგზავრი გადარჩენია სიკვდილს.

მინიმალური სიმაღლე საიდანაც შეიძლება პარაშიუტით შეიარაღებული კაცი გადმოხტეს ჰაეროპლანიდან არის 500 ფუტი. ამაზე ნაკლები სიმაღლიდან შეუძლებელია გადმოხტომა, რადგან ადამიანი ისეთი სისწრაფით მოექანება ძირს, რომ პარაშიუტი ველარ ასწრებს გაშლას.

ამნაირად ჰაერში ფრენა, იმდენათ საშიში აღარ ხდება. პარაშიუტების გამოყენება სავსებით აქარწყლებს ყოველგვარ საშიშროებას.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ლ. მცხეთელს.** თქვენი ლექსი „სტვენა“ და კორესპონდენცია არ დაიბეჭდებიან. მოგვაწოდეთ წერილები თქვენი ნაწილის ცხოვრების შესახებ,

**ამხ. ხმოლოქია წვერის ძირელს.** კორესპონდენცია „ერთი რამ საყურადღებო“ არ გავა, თუ არ გვაცნობებთ თქვენს სახელსა და გვარს.

**ამხ. დავლომს.** თქვენი შენიშვნა „მეექვსე ტერ-ლეგიონის საკითხველოში“ ცივა“ არ გავა. ამის შესახებ აღნიშნა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ხარაზაშვილს.** კორესპონდენცია „მეექვსე ტერ-ლეგიონის ცხოვრებიდან“ გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთისათვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# შინაურ ცხოველების და კაცის გადამდები ავადმყოფობანი.

ქეცი.

(გაგრძელება)

წინა წერილში ჩამოთვლილ სამ მთავარ ჯგუფს ქეცის ტკიპებისას შედეგად აქვს სამი ფორმის ქეცი: ქავილა ქეცი, ზეკანის ქეცი და კანის ჭამია ქეცი. ქავილა ქეცი ემართება ყველა შინაურ ცხოველს, გარდა ცხვრისა და რქოსან საქონლისა. ზეკანის ქეცი ემართება უმეტეს ნაწილად ცხვარსა და თითქმის არასოდეს ცხენსა და რქოსან საქონელს. კანის ჭამია ქეცი-კი ემართება ყველა შინაურ საქონელს, მაგრამ ტანის მხოლოდ იმ ადგილებზე, რომლებიც მისთვის განსაკუთრებით საყვარელია. უკანა ფეხები, კუდის რიკი და სხვა.

ქეცის ტკიპები, რა ჯგუფებისაც არ უნდა იყვნენ ისინი, მოხვდებიან თუ არა ცხოველის ტანზე, დაუყონებლივ იწყებენ გამრავლებას. იქ ისინი სდებენ კვერცხებს და სამიდან ათი დღის განმავლობაში ყმაწვილი ტკიპები იჩეკებიან, რომლებიც ორ-სამჯერ კანის გამოცვლის შემდეგ, ორ სამ კვირაში სავსებით ათავებენ ზრდას და იწყებენ—კვერცხების დებას. თითო დედალი ტკიპა სდებს სულ ხუთმეტამდის კვერცხს, რომლებისგანაც იჩეკება ხუთი მამალი და ათი დედალი ტკიპა. მამალი ტკიპა სცოცხლობს არა უმეტეს ექვსი კვირისა, დედალი ტკიპა-კი კვდება უფრო ადრე. მეცნიერების გამოკვლევით წყვილი ტკიპა სამი თვის განმავლობაში იძლევა მილიონ ნახევარ შთამომავლობას.

გაჩნდება კანში შემძვრალი თუ იქ გამოჩეკილი ტკიპა კანის სისქეში აკეთებს მრავალრიცხოვან სიგრძითი გასასვლელ გამოსასვლელებს. ამ გასასვლელ-გამოსასვლელის გაკეთების დროს იგი კბენით, ჩხვლეტით, თავისი ოთხი წყვილი წვეტიანი ფეხების მოძრაობით და ამ მოქმედების დროს გამოშვებული მწვავე სითხით ძალიან აღიზიანებს ცხოველის კანს და იწვევს კანის უზომო ქავილს, რასაც შედეგათ ჰყვება ის, რომ ცხოველის მთელი ტანი ჯერ წითელი წინწკლებით, შემდეგ კვანძ-ბუშტებით და ბოლოს სველი და გამხმარი ნაწიბურებით იფარება.

ქეცის ჩამოთვლილ ფორმებში ყველაზე უფრო გავრცელებული და ძნელი მოსარჩენი იყო და დღესაც არის ქავილა ქეცი, რომელიც განსაკუთრებით ემტერება ცხენთა შემადგენლობას. ამ ქეცმა, რომელსაც რუსები „ჩესოტკას“ უწოდებენ, არა ერთი და ორი ათასი ცხენი იმსხვერპლა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის დროს რუსეთში და გასაბჭოებამდის და გასაბჭოების შემდეგ ჩვენშიც—როგორც ჯარში, ისე სოფლებში. არა ერთს და ორ ათას წინანდელ სალდათს და ეხლანდელ წითელ-არმიელს დაუგლეჯია კანი ქეცის მიერ გამოწვეულ ქავილის გამო თავის ტანზე, და არა ერთსა და ორ ათას ცხენს კიდევ გამოაცლის იგი ხელიდან ჯარსა და გლეხებს, თუ ეს ცხოველი იმავე ანტისანიტარულ პირობებში იქნება ჩაყენებული, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში.

### პირობები რომელიც ხელს უწყობს ქეცის მოძრაობას.

ყოველი ცოცხალი არსება, რთულია იგი თუ მარტივი, რომ უკეთ გამრავლდეს, კარგი ჯანღონის იყოს, დიდხანს იცოცხლოს და სხვა, საჭიროებს ამა თუ იმ კარგ პირობებს. ადამიანისათვის და ბევრ სხვა რთულ და მარტივ არსებათათვის კარგ პირობებს შეადგენენ სისუფთავე, სინათლე, სითბო, კარგი კვება და სხვა, ხოლო ქეცის ტკიპებისათვის—კი—არა. მით უფრო კარგი იქნება ცხოვრების პირობები ქეცის ტკიპებისათვის, რაც უფრო ცუდი მოვლა ექნება ცხოველს.

თუ ცხოველს მოვლა აკლია: რიგზე არა სწმენდავენ, ან თუ სწმენდავენ—არა ყოველ დღეს, არ ბანენ, ცუდათ ჰკვებავენ, უდიერად ეპყრობიან, ზედმეტს ამუშავებენ და ვიწრო, ბნელ და გამოუწმენდელ თავლაში აბამენ—ასეთ პირობებში ქეცის ტკიპები საათობით მრავლდებიან და ცხოველს რამოდენიმე ხანში საიქიოსაკენ ისტუმრებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში—კი, ე. ი. თუ ყველა ზევით ჩამოთვლილ ნაკლულევანებებს ადგილი არ ექნება და ცხოველს მოვლა და სისუფთავე არ მოაკლდება, ქეცის ტკიპები საათობით დაიღუპებიან, ველარ გამრავლდებიან და ბოლოს და ბოლოს სულ მოისპობიან. რომ ქეცის გაჩენა—გავრცელების მიზეზი არის უსუფთაობა, მოუვლელობა, ავადმყოფი ცხენებისა და წითელ-არმიელების ჯანმრთელ ცხენებისა და წითელ არმიელებისაგან თავის დროზე გამოუცალკევება და სხვა, ამას ის სინამდვილეც ამტკიცებს, რომ ქეცი იმ დროს უფრო ვრცელდება ცხენებსა და წითელ-არმიელთა შორის, როდესაც მოვლა სისუფთავის დაცვისთვის უფრო ცუდი პირობები არსებობენ, როგორც, მაგალითად, ომიანობის დროს და სხვა.

ქეცის გადადება შეიძლება საბალახოების (როდესაც ავადმყოფი ცხოველი ჯანმრთელ ცხოველთან სძოვს), თავლების (როდესაც ავადმყოფი ცხოველი ჯანმრთელ ცხოველთან აბია) და ყველა იმ საგნების საშვალებით, რომლებსაც რამე კავშირი ჰქონდა ან აქვთ ქეცით ავადმყოფ ცხოველებთან—მაგალითად: ჩოთქები, საბურველები, ჩულები, თოფრები, ხომუტები, ქვეშ დასაგები თივა, ჩალა, ბზე და სხვა.

ვეტექიმი ფარეიშვილი.

# ტფილისის გარნიზონის მასწავლებელთა კონფერენცია.

ოთხშაბათს, 7 იანვარს, საღამოს 5 საათზე, წითელ არმიის და ფლოტის სახლში (ნიკოლოზის ქ. № 51) გაიხსნება კ. წ. არმიის ტფილისის გარნიზონის მასწავლებელთა კონფერენცია.

კონფერენციაზე დასწრება სავალდებულოა გარნიზონის ნაწილების ყველა მასწავლებელთა და მათ თანაშემწეებისათვის.

**კონფერენციის დღის წესრიგი:**

1. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები და საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები—მომხსენებელი ამხ. სუტირინი.
2. საბჭოთა აღმშენებლობის და წითელ არმიაში მასწავლებლობის სისტემის განათლების ამოც.—მომხს. ამხ. სნეკირიოვი.
3. მასწავლებლობა და რ. კ. პ. მე 13 ე ყრილობა—მომხსენ. ამხ. სტელმახი.
4. წითელ არმიელთა მასწავლებელი, პროფმოძრაობა და კავშირი საერთოდ მასწავლებლობასთან განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი.
5. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ დეკრეტის ხუთი წლის თავი—ამხ. შაშინი.
6. მორიგი კითხვები.

კ. წ. არ. პოლიტ მმართველობის აგიტპროპის უფროსის თანაშემწე ეგიკოვი.


# გამოვიდა

ქართულ 1 და 2 დივიზიის პოლიტგანყოფილების გამოცემა № 7.

## სახელმძღვანელო პოლიტსაათის მეთოდიკისათვის

შესყიდვის პირობები და სხვა გვარ ცნობების მიღება შეიძლება პოლიტგანყოფილებაში.


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1500.